



## სსიპ კოლეჯი „აისი“

ს.კაჭრეთი

29.05.2020 წ

ბრძანება № 02-01-111

### სსიპ კოლეჯში „აისი“ პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N 118/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „აისი“ წესდების მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და სსიპ კოლეჯში „აისი“ ა/წ 29 მაისს შემოსული ხარისხის მართვის მენეჯერის ლელა ბერიაშვილის N 419352 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შემდეგი პროგრამები დანართების შესაბამისად:
  - ა) თექის დამზადება (განხორციელების ადგილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო, ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ალვანი);
  - ბ) იატაკისა და ფილის სამუშაოები (განხორციელების ადგილი - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი);
  - გ) მეფუტკრეობა (განხორციელების ადგილი - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი);
  - დ) საექთნო საქმე - (განხორციელების ადგილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო, ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ალვანი);
  - ე) სავალი ნაწილის შეკეთება (განხორციელების ადგილი - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი);
  - ვ) საოფისე საქმე - (განხორციელების ადგილი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა);
  - ზ) ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება- (განხორციელების ადგილი - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი);
  - თ) კერამიკული ნაკეთობის დამზადება -(განხორციელების ადგილი - ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ალვანი);

2. დაევალოს ხარისხის მართვის მენეჯერს ლელა ბერიაშვილს შესაბამისი პროცედურების განხორციელება.
3. ბრძანების დაინტერესებული პირისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს კოლეჯის საქმისმწარმოებელს თამუნა ღვინიაშვილს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე - ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

სსიპ კოლეჯის "აიში"  
დირექტორი  მ. ასლანაშვილი

